ISSN 0132—6015

# ნიანგი

3
1982

— ძვირფასო სტუმრებო! როგორც ხედავთ, ჩვენ ამ ისტორიული ძეგლის რესტორნაცია უკვე მოვასწრინეთ!..

ხახ. ჯ. ლოლუასი

— მეგობარო, ეს თქვენი მუსიკალური სექცია ისვენებს დღეს?
— არა, ბატონო! მაგის ავტობუსი ზუსტად ოთხ საათზე გადის და თავიდანვე იჭერს თადარიგს!

# ნიანგის ინფორმაციები

### რენტგენის გაშუქება

**(თბილისი, № 21 პოლიკლინიკა)**

დგას მეგობრობის გამზირზე
ავტომანქანა — „რენტგენი“!
გაშუქებ-გამოშუქება
ხდება აქ გულის, ნეკნების!..
ავტო არ თბება!.. სიცივე
ხორცის ფერს უმალ ამუქებს!..
მე გამაშუქა რენტგენმა,
ახლა მე რენტგენს ვაშუქებ!..

### ერთი — ყველას!..

**(გორი)**

ქურდნი „ნიანგს“
კითხულობდნენ, —
რაღაც არა მჯერა!
მეც ამიტომ საიდუმლო
მსურს გაგანდოთ ხელად:
აქ, სასტუმრო „ინტურისტში“,
(დაიჯერებთ ძნელად!)
ერთი ნომრის გასაღები
აღებს ნომერს ყველას!

### ჭიქასა და ჭიქას შუა

**(სამტრედია, „ორსი“)**

ნომერ პირველ სასაუზმის
გამგე გახლდათ **ჭიქაშუა!**
ღვინოს სვამდა!.. ხელს
გაჰყოფდა
ჭიქასა და ჭიქას შუა!..
და 100 მანეთს თვეში ერთხელ
თხოვდა, გლეჯდა
თანამშრომლებს!
დაიჭირეს ჭიქაშუა,
ჭიქას 9 წლით დააშორეს!

### ნაგავცვენა

**(რუსთავი)**

**რკინიგზის სადგურს** აუდის
კიბე, არც ისე მაღალი,
მას ორთავ [illegible]ეს არტყია
ნაგავი — უხვად ნაყარი!
კვლავ გამალებით იცლება
[illegible]ოთ-ვედროები ნაგვისა!
თუ ნაგ[illegible] არ შიწყდა,
აქ მთებს ვიხილავთ გაისად!

### ზესტაფონიდან — აშხაბადს...

**პროკოფი ხვინჩიაშვილმა**
ცხრა თვის წინ, განა ამ
შაბათს?! —
ელვა დეპეშა გაგზავნა
ზესტაფონიდან აშხაბადს!..
სამი დღე-ღამე დეპეშას
**ფოსტაში** გდებამ უწია!..
მერე წავიდა!.. ადრესატს
თუმც დღემდე არ მიუღია!..

**გაიოზ შავერზაშვილი,**
**„ნიანგის“ კორესპონდენტი.**

# ვინ ერთგული, ნიანგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვინც ერთხელ** მაინც სწვევია ქალაქ ბორჯომს, უთუოდ თვალში მოხვდებოდა გენიალური კომპოზიტორის — პ. ი. ჩაიკოვსკის მონუმენტური ძეგლი, მაგრამ, შესაძლოა, ყველამ არ იცოდეს, როგორი მოჯადოებული გახლდათ კომპოზიტორი ბორჯომის ხეობით: **„უკვე ორი კვირაა, რაც ბორჯომში ვარ. უნდა ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია, რომელიც კი ოდესმე მინახავს. ჩემი აზრით, მსოფლიოში ეს ერთ-ერთი ყველაზე საუცხოო და ღვთაებრივი ადგილია“.**

ეს სიტყვები 1887 წელს დაიწერა და მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა (მათ შორის — ბორჯომისამაც), თითქმის მთელმა 95 წელიწადმა, და სადღეისოდ ბორჯომი, რასაკვირველია, უფრო შნოიანად გამოიყურება!

ნიანგი კი, მოგეხსენებათ, შნოსა და ლაზათს არაფრად დაგიდევთ, ოღონდ კი რაიმეს (გინდ ვინმეს) გაჰკრას კბილი (თუნდაც — მორყეული!).

●

**ზემოთ** კ ბ ი ლ გ ა ს ა კ რ ა ვ ი გიხსენეთ, მკითხველო, და მთელი სანიანგეთის სახელით უნდა ვაღიაროთ, რომ, ამ მხრივ, ბორჯომში კარგადაც არის საქმე და ცუდადაც! კარგად გახლავთ რაიონის ეკონომიკური პოტენციალისათვის, რადგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებულ ამონაგებში ძირითადი ადგილი მეცხოველეობას (იგივე ხორცს, ძეხვეულს და მისთ.) უჭირავს — 80 პროცენტი!.. ცუდად ჩვენთვის გახლავთ, რადგან... ახლავე მოგახსენებთ:

ძალიანაც ბევრს ვეცადეთ, თვალის ასახვევად ახლომახლო სოფლებს სულაც განვერიდეთ და დაბა ბაკურიანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობას დავადგით თვალი, მაგრამ საქმეში ხარ?! თიკანი რომ თიკანია, იმასაც არ მიგვაკარეს! გამოირკვა, რომ აქ საკუთარზე უფრო ფხიზლად დარაჯობენ და უვლიან საზოგადოებრივი სექტორის პირუტყვს (წინა წელთან შედარებით, ას ტონაზე მეტი ხორცი დამზადდა, ერთნახევრად გაზარდეს წველადობაც!) განსაკუთრებით გამოირჩევიან მოწინავე მეცხოველეები: ტაბაწყურელი მწველავი **რიმა არმენაკის ასული მურადიანი,** რომელმაც თითოეული ფურიდან 1981 წელს 2700 კგ რძე მიიღო; ჭიხარულა-ბალანთელი კოლმეურნე **დავით პეტრეს ძე მელიქიძე,** სკკპ წევრი, რომელიც 1470 სულ ცხვარს, არათუ ნიანგს, მგლის წუპაკ ლეკვებსაც არ აკა-

პეტრე ხაჩიძე

# ვინ არა, ქვეყანამ დაინახოსა!..

## – ბორჯომის რაიონში

ეროვნული ბიბლიოთეკა

**— რაც ვინ ბორჯომს სვამ, კიდევ მტკივა პან-ფელიაზე თავი?!**

**მინის** ტარის უქონლობის გამო, ზოგჯერ, იძულებული არიან, ბორჯომის ძვირფასი მინერალური წყალი მტკვარს ჩაატანონ!..



სახ. ჯ. ლოლუასი

რებს; ციხისჯვრელი მწველავები — **მარიამ გიორგის ასული კუტალოვა** და **ნინო სტეფანეს ასული ილოევა,** რომელთაგან პირველმა შარშან თითოეული 17 ფურიდან 2800 კგ რძე მიიღო, ხოლო მეორემ — თითოეული 18 სულიდან — 2700 კგ.

ან რომელი მხეცი მოჰპარავს და მოსტაცებს მოზვერს თუ დეკეულს ომისა და შრომის ვეტერანს, ბრესტის ბრძოლების მონაწილეს, სამი ვაჟისა და ორი შვილიშვილის პატრონს — **ბიმბოლა ქუმარატაშვილს?!**. შარშან, 1981 წელს, მან, მასზე გაპიროვნებული 45 ხბოდან, თითოეულზე თვეში 21 კგ წანამატი მიიღო, ანუ, სადღეღამისო 360 გრამის ნაცვლად, 700 გრამი, რისთვისაც 1200 მანეთი მარტო პრემიის სახით გამოეწერა.

**მეცხოველეა ბიმბოლა,**
**ჯილდოც ამშვენებს ბევრი!**
**გახლავთ კაცობის სიმბოლო**
**და რაიკომის ნევრი!..**

მერე ვეცადეთ, კლული (დაკლული — კაცთა ენაზე) საქონლის ხორცი მაინც გაგვეკნასა რამენაირად, მაგრამ, ნიანგს კი არა, კატასაც არ აჭაჭანებენ თურმე ბორჯომის ხორცკომბინატში, და გადავწყვიტეთ, მცენარეულობა მაინც გვეგემნა!.. წარმოიდგინეთ, რომ არც ამ უბანზე გაგვიმართლა!

ანა აფციაური

მწვანილი რაა, ერთი ფოთოლიც არ გაგვასინჯა სინჯად დვირელმა მებოსტნემ **მერი ნიკოლოზის ასულმა გასიშვილმა,** რომელმაც 0,3 ჰექტარი ფართობიდან მთელი 10 ტონა ბოსტნეული მოინია!..

ახალდაბელ **ალექსი არტემის ძე ჩადუნელსა** და მისი ოჯახის წევრებს (აგრეთვე მის მოთვინიერებულ ხარ-ძროხებს, ხბორებს, ცხვრებს, ცხენებსა და მისთანანთ) არც ჭყინტი სიმინდის გემო სცოდნიათ და არც — ალერდისა, თორემ ერთ ჰექტარ ფართობზე საშუალოდ ექვს ტონა სიმინდის მარცვალს საიდან მოიწევდნენ?!

ბოლოს უკადრებელიც ვიკადრეთ — ჯანი გავარდეს, თივას მაინც ვიშოვითთქო, მაგრამ, ჩვენთვის კი არა, საკუთარი ხარ-ძროხისათვის ვერ იმეტებენ მას წაღვერელი **პავლე ივანეს ძე გოგოლაძე** და გვერდისუბნელი **არონ გიორგის ძე სანაკოევი,** რომელთაც 7-7 ჰექტარი სათიბიდან 15-15 ტონა თივა ჩაბარეს მეცხოველეებს. მაგრამ ზემოთ დასახელებულ მოწინავეთა შორის განსაკუთრებულ ნარმატებას მიაღწია ცნობილმა მებოსტნე ქალმა **ანა აფციაურმა.**

**„აფიციალურად“ — მებოსტნე,**
**აფციაურლად — ბებია!**
**შვილიშვილები კისერზე შემოსხდნენ:**
**ბებია ჯერ არ დაგვბერებია!..**

●

**ვერაფერი** ბედენაა, მშიერ კუჭზე საერთოდ წყალი და, კერძოდ, ბუშტულებიანი „ბორჯომი“, მაგრამ რას იზამ?! — იქნებ, ღმერთმა მოგვხედოს და ბოთლებში თავკომბალები, ბაყაყები და ჩვენივე სასაცილო მონაგარი ხვლიკები მაინც აღმოჩნდეს-თქო! ამ იმედით გავსწიეთ ჩამოსასხმელ ქარხნებში. მოგცლია?! სადაა, თურმე, მოსაცდენი ბოთლები, შიგ რომ რაიმემ დაიბუდოს?! ის კი არადა, როგორც კი მინის ტარა გამოჩნდება...

— უაღრესად ცუდ დღეში ვართ, — თავის გასაჭირზე ჩამოგვიგდო სიტყვა გაერთიანება „ბორჯომის“ მართლაც რომ გენიალურმა გენერალურმა დირექტორმა **ქეთევან ხარისჭირაშვილმა,** — ერთ დროს, სახელდობრ, მეცხრე ხუთწლედის ბოლოს, გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, გაერთიანებამ მთავრობის მაღალი ჯილდო — შრომის წითელი დროშის ორდენი დაიმსახურა, მაგრამ სადღეისოდ ჩვენი უკეთილშობილესი, უგაზიანესი, უმადისმომგვრელესი (საჭიროებისას — უგულისამრევესი!) და უვიშესი (ფრანგული „ვიში“ ხომ მსოფლიოში სახელგანთქმულია) „ბორჯომი“ სულ უფრო ნაკლები რაოდენობით ეგზავნება მომხმარებელს! მიზეზი რამდენიმეა: განსაკუთრებით სცოდავს, ჯერჯერობით, **ხაშურის მინის ტარის ქარხანა,** რომელმაც შარშან დაგეგმილის მხოლოდ 10 პროცენტი მოგვაწოდა და ისიც — საკმაოდ უხარისხო! აქვეა აღსანიშნავი, რომ გაერთიანებაში შემოსული **კრონენკორკის** 38 პარტიიდან (საიდანაც 34 პარტია ხაშურის წარმოებისაა) მხოლოდ სამი (!) შეესატყვისებოდა სტანდარტს. უხარისხო ბოთლი და კრონენკორკა, რასაკვირველია, გამონაჟონის მიზეზი ხდება. მარტო 1981 წლის რვა თვეში გაერთიანებამ 190 ათასი მანეთის პრეტენზია მიიღო! და ის საკალალო ფაქტი, რომ შარშანდელი გეგმა — 335.000.000 ბოთლი — შეუსრულებელი დარჩა, ძირითადად, ხაშურის მინის ტარის ქარხნის უყაირათო მუშაობის შედეგია. ამასთანავე, მოცდენების გამო გაიზარდა მუშახელის დენადობა, დაირღვა სამუშაო რიტმი, გადაიხარჯა ხელფასის ფონდი!..

თუ მდგომარეობა რადიკალურად არ გამოსწორდა, ბუნებრივია, შორს ვერ წავალთ! — დაასკვნა დირექტორმა და, უტაქტობად რომ არ ჩაგვთვლოდა, თვალზე მომდგარი ცრემლები ოსტატურად მოვარიდეთ.

ისე, კაცმა რომ თქვას, ისეთი მუშაკის მოცდენა, როგორიც ჩამომსხმელი ქარხნის მუშა, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **პალიკო ლომიძეა,** მართლაც საცოდაობაა!

**გამტანია ამხანაგთა,**
**იცის, შრომა სად სჯობს:**
**ჩამომსხმელი ქარხანა და...**
**უმაღლესი საბჭო!..**

როგორც იქნა, სასტუმროს მივაშურეთ დაღლილ-დაქანცულებმა. დაბალი სადილობა იქნებოდა, ორი, ან სამის ნახევარი. ვეძგერეთ ონკანს გულის განსაგრილებლად, მაგრამ... ნაშუადღევს ონკანში წყალს რა უნდაო?! — გაიოცა სასტუმროს მორიგე ადმინისტრატორმა; აბა, ნაშუაღამევს რა საჭიროა-თქო?! — გავიოცეთ ჩვენც. ეგ იმას მოჰკითხეთ, ვინც **გუჯარეთის წყალსადენის** პროექტში, რომელიც „საკომუნპროექტმა“ შეადგინა და სერიოზული შეცდომაც დაუშვაო (საერთოდ გამოტოვა **სარეაგენტო** მეურნეობა, აქაოდა, მთის წყალს რაღა ფილტრა სჭირდებაო?!).

ბიმბოლა ქუმარატაშვილი

(დასასრული მე-4-5 გვ.)

**სასაღამო** მოსმენრების საქონლის დამამზადებელ მთელ რიგ დარგებში ცდილობენ, რენტაბელობას მხოლოდ გასასვლელი ფასების გადიდებით მიაღწიონ!

— რატომ ლირს ეს ქოთანი მეტი?
— ვერა ხედავ, ეგ რომ სამფურჭინია?!

**ჭოკმედი პირონ:**
**ზურაბ ზალვას ძე ბოჭორიშვილი** — № 45 სამშენებლო კანტორის ბრიგადირი.
**ნანული ალექსანდრეს ასული კენჭოშვილი** — ოტტოკარხნის მუშაკი.
**რეზო ვლადიმერის ძე კვიტაძიანი** — სარემონტო კანტორის თანამშრომელი.
**ნუნუ გასილის ასული ჩიჩელაშვილი** — კომუნალური გასაოფლიუების თანამშრომელი.
**ნოდარ ოლიფანტეს ძე ბუბუტეიშვილი** — ლატოფონის ქარხნის ფიზიკტეხნიკი.
**ეუფუნა ალექსანდრეს ასული ბუბუტეიშვილი** — ლატოფონის ქარხნის მუშაკი.
**კაკო მიხეილის ძე ბერაია** — გეგეჭკორის მკვიდრი, ოგიგე მეწყვეტ ანუ ექიმბაში.

## სურათი პირველი და უკანასკნელი

**(ქუთაისი. ოკახი. ლოგინში წევს ეუფუნა. ხვდან ნანული, ზურაბი, რეზო, ნუნუ და ნოდარი)**

**ზურაბი:**

ახლა კი დროა, დავამთავროთ რეპეტიცია! გვმართებს გარდაქმნა, ანტიფტბმა როგორც იციან!

**ნოდარი:**

აბა, ეუფუნა, შენ გეკუთვნის მთავარი როლი! უნდა დამაჭეო ყავარიკით ეგ სახე ბროლის!

**რეზო:**

დიახ, შენ გიწევს ურთულესი როლის დაძლევა — ზარ მომაკვდავი! ეს-ესაა, სული გაგძვრება!

**ნუნუ:**

გესმით ფეხის ხმა?! ექიმბაში მოადგა კარებს!

# არავინ არ კვდება!..

**(ქუთაისური დოკუმენტური პიესა)**

მიდი, ეუფუნა, დაიკიოლე, ცრუშლები ღვარე!

**(ეუფუნა კვნესის. შემოდის კაკო)**

**კაკო:**

მე ვარ მეწყალეე ბირაია, გეგეჭკორიდან! ქალის მოწყავლა ჩემი წყალითა, ეგეგ, ჭორაია?!

**ნათელა:**

ჭორი ისაა, „ფარაფაცეტტო“, — გიჭობს გაჩერდე! — თითქოს მალაშო ეფეიული სნეული არ ჩნდეს!

**ნუნუ:**

უნდა გრაცხეენოდეს! საკვდილიც კი უნდა ინატრო! ციხე გეკუთვნის — წყალეწუმლის ფალსიფიკატორს!

**ნოდარი:**

თუ ჩემს ცოლს რამე დაემართა, ვფიცავ სიცოცხლეს, აქედან ცოცხალს არ გაგიშვებ, კაკო, იცოდე!

**ეუფუნა:**

მიშველეთ, ვკვდებიი!..

**კაკო:**

ეს აქ რა ხდება?! მოწმეშეა მაღალი ღმერთი, — მე არასოდეს მოიშველია სნეული ერთიც! რა ქენა, არ ვიცი!..

**ზურაბი:**

მაშ, ჩვენ რა ქენათ, ბოლოს და ბოლოს?!

**კაკო:**

რა შემიძლია?!

**ზურაბი:**

შენ შეგიძლია, ჩემო კაკო, ერთი რამ მხოლოდ: პროფესორმა თქვა — „ქალს ხსნა მხოლოდ მოსკოვში ელის!“

ეს კი ხარაჯს ითხოვს, ჯიბე ენდა საკმაოდ სქელი!

**კაკო:**

რამდენი გნებავთ?!

**ნოდარი:**

პირდაპირ ეკეტყვიო, რაღა ბევრი ვილაპარაკოთ?! — შვიდი ათასი! ათი ათასს არა გთხოვთ, კაკო!

**კაკო:**

მადლობას გწერავეთ, ეუერზეერს არა სტენთ რახან! ახლა გამიშვით და სალამოს მოგიტანთ თანხას!

**(სალამო)**

მიიღეთ ფულიო! ახლა, რაკი თანხას გინაღდებთ, გთხოვთ, რომ ამიღსოთ ჩემი წყალითა ჭიქა პირამდე! დაკელვა და, თუკი მაჩმი არის ლენეკოფა კრული, დაე, საბრალო ქალთან ერთად, ამომხდეს სული!..

**კაკო გამოცლის ჭიქას. უცებ ფული მოვარდება ყველა, მათ შორის „ავადმყოფი“ ეუფუნაც! შემოდის მილიცია!.. ექიმბაში კაკო, რა თქმა უნდა, არ კვდება! ფარდა არ ეშვება!**

**გ. შავერნაძე**

— ნახე, შვილო, როგორი ავტო გიყიდე!
— სპორტი თუ აძცს?!

# ვინ ირთვიდა, ვინ არა, ქვეყანას ეკინაღრება!..

(დასასრული)

ახალ პროექტი ეკ ჩასწორდა, მაგრამ **მშენებლობის სამინისტროს ტრესტს „სპეციმშენის“ 132-ე მონტაჟი მექანიზებული კოლონა** ისე უტაბლოდ და უფერულად მუშაობს, შესაძლოა, ნიანგის ზელმეორედ ჩამოსელისასაც კარ ბედმონაწილეობენ ეკ ბაღის საფილობის ხანს ოსკანიდან წყალი. თუმცა, იქნებ, იმ დროისათვის მარილაც რადიკალურად გამოეცხორფეს ბედგამარეობა ბერთანიანება „ბორჯომში“ და, ჯანდაბას, მინერალური წყლით გავიგიჩოლებთ ყელს!.. [ალქვენ ნისქვილი ნაბრძანდი, მე ქორნილში ნაეფირეთ“ გიელენი).

ისე, კონსტრუქციული სიმძლავრე არ უნყობს ხელს, თორემ თვით ბორჯომის მინის ტარის ქარხნისაგან უნდა აეღოთ საბუნკერ კოლეგების მაგალითი; განსაკუთრებით კი მთელს რაიონში ცნობილი კაცის, ზუშის მხარეზი ოსტატის — **ხეტრე ხარხიხაგან**, ყოველთვის ერთიორად რომ ასრულება გეგმებს.

**არა — სიმუსი, არა — მარშალი,**
**ზუშა კაცი ვარ, ზუშის მხარეზეთ!**
**არც გეგმას ვაკლებ, ზეგსაც ავეკლი,**
**არც ჩემს ნახელავს ნყალი ეკიკლა!..**

**ეიეიი თუ აარა, რომ...**

● **ზარშაბლელი ნ** ლის 9 თვეში სანარმოო გაერთიანება „ბორჯომმა“, მინის ტარაი შეფერხების გამო, მოხმარებელს ვერ მიანოდა 80 მილიონი ბოთლი ნყალი?!.

● **80** მ ილიონი ბოთლი „ბორჯომი“ (თუ ერთი ნამთვარალეზე ერთ ბოთლს ვიანგარიშებთ) „ამბრელიაზე“ გამოიყვანდა ერთად ალეპული ავტარიელ, ბელგიელ, ბოლეიელ, ბულგარელ, გერმეფრანცელ, დანიელ, ნორეკეიელ და პორტუგალიელ მოსახლეობის დიდინაკატარინადან?!.

● **პირველმანილიანეთი** გ ა ერ თ ი ნ ე ბ ა „ბორჯომმა“ მთელი 800.000 მანეთი უნდა გადაიხადოს?!

● **ტარის** უ ქ ნ ლ ო ბ ი ს გამო, ხანდახან, მინერალური ნყალი... მტკვარში იღვრება?!.

● — კიდევ სად უნდა შეეიჭყრნტოთ? — იკითხა ერთმა - ჩვენთაგანმა და სანოლზე ქანცმილეული დაეშვა. სანოლმა კვნესით გაიჭრიალა.

— სანოლის ჭრიალმა საავეჯო ფაბრიკა არ ნამოგვიტიტვნა ტვინში?

— უი, მარილა! — შეეძახეთ და ახალდაბის საკმაოდ პოპულარული საავეჯო კომბინატისაკენ ავიღეთ გეზი. გავეშურეთ ის იმედითაც, იქნებ ხეირანი სანოლი მოგიხელეთოთ და ფრიალით მაინც ნამოვნვეთ დადეშქელიანივით მხარ-თეძოზე. თორემ სულ ამის ფიქრში არ გახლდათ ფაბრიკის დირექტორი **აკაკი ბოსიძე?!.**

— ნამისაწილად თქვენისთანა სტუმრებს ვინ გამეტგბენ? დაბრძანდეთ!

— ფულადი გამოხატულებანი თქვენ მეტი გეგმა გაქვთ, თუ გაერთიანება „ბორჯომს“?

— ოსი. ჩვენ 6,5 მილიონი მანეთი გვაქვს, ოსი — 10 მილიონი!

— რაშფერი მუშა-მოსაამსახურე გყავთ?

— 630.

— იქ რას არემონტებენ?

— რეკონსტრუქციია მიმდინარეობს. 83-ში დამთავრდება გეგმა გაორკეეიდება — 12 მილიონი მანეთის პროდუქციას გამოიშვებენ ნელინადში.

— ძირითადად, რა ჯიშებს იყენებთ?

— ფფრაუენ ბახგარნსა და ნიფელს.

— ძირითადად, რა სახის ავეჯს უშვებთ?

— სამეიე კარნიტურებს: „ნინოსა“ და „მანანას“.

— რომელზე მეტი რეკლამაცია მოდის?

— ბუფეტფილად რომ მოგახსენოთ, „მანანაზე“.

— ეგ რით აიხსნება?!.

— ბუფეტს ქქვია ჩემსაც... ნინო და, ვნიშნოს, არაკის გავალანძეყინო!

— ჩაგეეფილალ!.. ეს, „ნინაზე“ ხომ არ თანამშრომლობთ?

— პროფესიონალი ეი გახლავართ ფურნალიტი, მაგრამ — არა. მე თუ მეკითხეთ, „ნინაზე“ თანამშრომლობაზე უფრო თანამებრძოლობა სჯირდება!

— თქვენ ხომ არადერი განუხდეთ?

— ნონაში მოვიმატე, მაგრამ ეს ნლების ბრალია, ალბათ...

— მხედველობაში გვაქვს რამე პრობლემა, რომლის ნინაშეც ფაბრიკა დგას.

— როგორ არა! თითეზეზე ჩამოფავლო?

— თუ ათზე მეტი არაა, კი.

— საოცარად ცუდი სატელეფონო კავშირი, როგორც რაიონტრანპ, ასევე დედაქალაქთან. ეს ერთი. მეორე: დიდი სურეალი გვაქვს, მესხეთის რომელიმე რაიონში, ეოქვათ ახალციხეში, გამოგვყოს მოცდენილი ტერიტორია ფამბარე მეურნეობისათვის. მოგაშენებდით ფუტკარს, გავაშენებდით ხეხილს!.. მესამე: ჩვენს რაიონსაც დიდი რაოდენობით მზადდება ფიცარი, რომელიც ათ ფაბრიკას დაკაბაყოფილებდა ჩვენნაირ. ჩვენ კი ირეტტკიდან და სხვა ადგილებიდან ვიღებთ ხეტყეს. სანინაგო საქმეა პირდაპირ!

● **თითეეოს** ყ ა ვ ლ ა ფ ე რ ი ამოგნერეთ, ჩვენი ქსეეთ. მშეიდად ეკიერნობთ პარკში... მაგრამ ეს რაა?! ვიღაცამ უცეტ ნამოიძახა: „დავაცხო თავს — ლაფთი!“ არიქა! — შეეძახეთ ერთდროულად, — ლაფნეკოფის პრობლემეზი ისევ დგას თუ არა, არ გაინტერესებთ?!

— ამ საკითხის ბასადგენად ეეწვიეთ საგაეეო მეურნეობას.

ბორჯომის საგაეეო მეურნეობას 135 თანამშრომელი ეყავს და ერთიც ფიქეეენობთ — გამოიცანით სამეურნეო მუშაკი **ამირან ზაქარიას ძე მაჩარაძე.**

— რამდენი ნელია, რაც აქ მუშაობთ და როგორია თქვენი ნლეური გეგმა?

— ეფუშაობ 1958 ნლიდან. ნლეური ნლეური გეგმაა 4.000 კუბური მეტრი დაფერნილი ხის მასალა, ნაძვი.

— ლაფნეკოფიის თაობაზე რას გეეტყვით?

— 1955 ნელს გამოჩნდა იგი პირველად ჩვენს ნაძვნარში. ჩვენი ქვეყანის ჩრდილოეთ რაიონებიდან გაუეეძრავი ხე-ტყეის შემოზიდვამ გააფრენა იგი ჩვენში. ალი-ხოფთმეტი ნლის ნინათ ტყეში ეეერ გაიეეფილი, სიეიფლეე არ იერძნობოდა. ამჟამად თითქმის მოისპო ლაფნეკფიია. განსაკუთრებით ეეფეეტანი აღმოჩნდა ზამთრის ლეგაციიან შემოყვანილი **ფიდან რიზოფაგე** თავისთავადაც განჩენა ასამდე „ბავეე“ ბნერი, რომლებიც გადაეცეფეთ ეკრძენეთ ლაფნეკფაძეის.

საკმაოდ ეეფლაშეეფეულენი დაეპრეფდით საგეეო მეურნეობიდან, და, ეეტკურნალის სახით, დაეიარეთ ბორჯომის ცენტრსა და მის ახლომახლო მდებარე სანარნო თუ კეტტმასობრივი დანესებულებენი. და სულ ამის ზვიდი საათისათვის, ძლიეს მოვახერხეთ საკარფფეულ კომბინატის ბორჯომის რაიონის პირეეკ მდგომნეთან ამხ. **ირაკლი ბურჯანეძეთან** ფრიად სასურველი შეხედრა.

— თქვენ უკვე შეგანიშნაეთ ბევრი რამ, რაც ამ ბოლო ნლეებში ჩვენს რაიონში გაკეთდა, — ამჯარად შეგვაკეთ ამხანაგმა პირველმა მდგომარეობა, — რამდენიმე ფაქტს თუ დაკეემატებდით ჩვენდათაკეენდ.

— საკარფფეულ კომბინატის ცენტრალეური კოფტატები, მისი ბიეური, პირადად ამხანაგი **ეფლაშე შეგარნაძე**, რეკომენდაციას მთავრობა, განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობენ საერთოდ ბორჯომის რაიონს და, ეკრძოდ, ჩვენს თვალწარმტაც კეფრარტს, დიდ მზრუნველობას იჩენენ მისი შემდგომი განვითარებისა და კეთილმონყობისათვის.

ასე, მაგალითად, მე-10 ხუთნლეფაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ობიექტი ჩაგვი ფნყობრნი. ესენი: ბორი — სანანეტორიეეენ ალეკანის“ მესამე კორპუსი 500 ადგილით, ამავე ლაკანის დასახლებანი — ორი 60-60-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, მეეხოფეეთის კომპლექსი ციხისეეკრაში, სასმალეთ-სანყრნეფი ცენტრი ბაკურიანში, სანაკმორეფი „ბეთს ხეოთა“ 75-ბინიანი საცხოვრებელი სახლი გაერთიანება „ბორჯომმინვის“, გუეკარეთის ნყალსადენი და სხვ.

ამჭენდა და საექსპლუატაციოდ გა-



**ვალერიო ლომეიძე**

დაეეეა „ეემპარნიტორების სახლი“, საკოალეფარნეობათაშორისო სანაკმორიაენი 250-ადგილით ლეკანში, მეეიციანის მუშაკთა სახლი პოლეკლინიკით, ბენდეა „ეფორატის მთავარი პოლეკლინიკი, 3.000 კაკნის ეეთეეე

**ამხანაგური** მეგაღეობისათვის ჩვენს რესპუბლიკაში გამოყოფილ 3 ათას ჰექტარამდე მინას ხშირად დანიშნულებისამებრ არ იყენებენ!



ნახ. დ. ზარაფიშვილისა.

— მთელ ნაკვეთზე რომ ამხელა სასახლე წამოჭიმა, ბაროს და თოხნოს ახლა სახურავზე!..

## განცხადება

**მეტროპოლიტენში, მგზავრების უკეთ მომსახურების მიზნით, გვესაჭიროება:**

**მკვალავები** (ზოგიერთმა მგზავრმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ, ესკალატორზე თუ არ ჩადის, მარჯვენა მხარეს უნდა იდგეს!);

**მბიძგველები** (კარებთან ხშირად იმდენი ხალხი დგება, ვაგონში შესვლა ჭირს!);

**გამომფხიზლებლები** (ზოგიერთი მგზავრი ფიქრებშია გართული, ზოგი, მართლა მუტრუკი, დადგება ვაგონის კარებში, ან ესკალატორის მარცხენა მხარეს, და ხელს უშლის სხვა მგზავრებს!).

ხელფასი — ჯან-ღონის მიხედვით.

იოსებ ლებანიძე

ნახ. ბ. ფირცხალავასი

— ამ მეტროს ვერ მოვუხერხე ვერაფერი, თორემ ტროლეიბუსი და ავტობუსი უფასო მაქვს!

# ...მაშინ მოდით!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძალიან გთხოვთ, ჩაიბარეთ შამპანურის ბოთლები! სულ რამდენიმე ცალია!..

— ხომ გითხარით, შამპანურის ბოთლებს ჩვენ არ ვიბარებთ, კანდელაკზე წაიღეთ-მეთქი?!

— კანდელაკზე ზეთის ბოთლებს არ იბარებენ! სად ვათრიო ესენი?! ტაქსს არ ეყოფა ამ ბოთლების ფული! დალახვროს ეშმაკმა! ეს ღვინის ბოთლები მაინც მომაშორეთ!

— აი, იმ ყუთში ჩაალაგეთ!.. ჯერ მაჩვენეთ, რა ბოთლებია?! ო, „გარეჯის“ ბოთლებს ავლაბარში იბარებენ! „ბახტრიონი“ და „ვაზისუბანი“ დატოვეთ ჩვენთან!

— კი მაგრამ, რა განსხვავებაა „გარეჯის“, „ბახტრიონისა“ და „ვაზისუბნის“ ბოთლებს შორის?

— რა ვიცი! ალბათ, არის! ყოველ შემთხვევაში, ჩვენ უფლება არა გვაქვს!

— ხომ ჩამიბარებია თქვენთან „გარეჯის“ ბოთლებიც?!

— ჩუღურეთის შუშის ტარის მიმღებ პუნქტში რომ რემონტი იყო, მაშინ „გარეჯის“ კი არა, რძის ბოთლებსაც ვიბარებდით, მაგრამ ახლა, მაწვნის ქილების მეტს, თუ ხედავ რამეს იმ თაროზე?

— ესე იგი, იქ უნდა წავიღო, არა?!

— თქვენი ნებაა!

— სად საბურთალო და სად — ჩუღურეთი?! ღმერთი არა გწამთ?! ძალიან გთხოვთ!.. ამ ბოთლებით ისეთ სტუმრებს ვეცი პატივი, ისეთი სადღეგრძელოები დავლიეთ... ამ ორ ბოთლში, კიდევ, ისეთი ადესა მესხა!..

— რა ჩემი საქმეა, რომელი ბოთლით რა სადღეგრძელო დალიეთ და რომელ ბოთლში რა ღვინო გესხათ?! მაგერ ზეთის ბოთლები გქონიათ! აი, იმ ყუთში ჩაალაგეთ! რისი უფლებაც გვაქვს, იმაზე ხომ არ გეუბნებით უარს?!

— ზეთის ბოთლები ბევრი არ არის! სულ გადავყრიდი, ესენი რომ მომაშორა!..

— ოღონდ, ბამბის ზეთის ბოთლებს არ ვიბარებთ! მზესუმზირასი ამოალაგეთ მხოლოდ!

— კი მაგრამ, რამ გაყო ბამბისა და მზესუმზირას ზეთის ბოთლები?! თუ ასეა საქმე, ეტიკეტებს მოვაძრობ და ბოთლი ბოთლი იქნება!

— კომისია კომისიაზე დადის! თავს ხომ არ დავიღუპავ?! ეს რა ქილებია?!

— ბულგარული წიწაკისა!

— თქვენ, ამხანაგო, ამ ქალაქში არ ცხოვრობთ?! არ უნდა იცოდეთ, სად რას იბარებენ?! ჩვენ ბულგარული ლობიოს ქილებზე ვმუშაობთ! ბულგარული წიწაკის ქილებისათვის, რახანია, გლდანის მასივში გახსნეს ცენტრალიზებული შუშის ტარის მიმღები პუნქტი!

— არყის ბოთლებს თუ ღებულობთ?

— ა, ბატონო, სია! შავით თეთრზე სწერია, რას ვღებულობთ და რას არა!

— ესე იგი, „ნარინჯოვანი მწარის“ ბოთლები ტყუილად წამომიღია!..

— რას მოგქონდათ, მერე, თქვე დალოცვილო?! ჯერ გაგეგოთ, სად რას იბარებენ! „ექსტრა“ მოიტანეთ, რამდენიც გნებავთ, ან „პშენიჩნაია“! ნახეთ, თუ არ ჩავიბაროთ!..

— რომ მქონოდა ან ერთი, ან მეორე, სახლში ხომ არ დავტოვებდი?!

— გადაცვალეთ „ექსტრაზე“ ან „პშენიჩნაიაზე“! ბულგარული წიწაკის ქილებიც შეგიძლიათ გადაცვალოთ ლობიოსაზე!

— სად უნდა გადავცვალო, ან სადა მაქვს მაგის თავი?! ოღონდ ჩაიბარეთ და, ქილაში ხუთ კაპიკს მოგცემთ!

— ასეთ ქილებს ათ კაპიკად ვიბარებთ!

— რაც მქონდა, ტაქსს მივეცი! წვრილი ფულიღა დამრჩა!..

— მე რა ვქნა?! როცა მსხვილი ფული დაგრჩებათ, მაშინ მოდით!

ნოდადი ბართაია

**ბონივრული ანდაზა** გვაფრთხილებს: იმ ტოტს ნუ მოჭრი, რომელზედაც ზიხარო. ეს ანდაზაც კარგად ვიცოდი და ისიც, რომ იმ ტოტს ვჭრიდი, რომელზედაც ვიჯექი, მაგრამ...

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

ერთ მშვენიერ დილას ანუ მუშაობის დაწყების მესამე დღეს, რედაქტორმა გამომიძახა.

— აბა, შენ იცი! ფხა უნდა გამოიჩინო ახლა: ფელეტონი გვჭირდება სატრანსპორტო საკითხზე! ეს გადაათვალიერე, დაგეხმარება, — თქვა და წერილების დასტა გამომიწოდა.

კიდევაც გადავათვალიერე, კიდევაც წავიკითხე. არ გამოვიდა აქედან არაფერი. სამუშაო საათები ისე მიილია სათაურის მეტი ვერაფერი მოვიფიქრე.

თბილისში მე იმ უბანში ვცხოვრობ, „აფრიკას“ რომ ეძახიან. იცით, ალბათ, სადაც არის: კონგოსა და კაიროს შორის მდებარეობს. ხუთი ნომერი სამარშრუტო ტაქსი მიდის იქ კოლმეურნეობის მოედნიდან, მაგრამ ხანდახან ესენი ისე დადიან, როგორც მძღოლებს მოესურვებათ, ჰოდა, რადგანაც მგზავრთა სურვილი მძღოლთა სურვილს ხშირად არ ემთხვევა, ამ ტაქსების იმედი არ უნდა გქონდეთ მაინცდამაინც. № 10 მარშრუტის ავტობუსზე სხვები იტყვიან ალბათ და... ღმერთმა ააშენოს გამვლელ მანქანათა აი, „უაზებს“ რომ ეძახიან, იმათი მძღოლები. ფასი იგივე — 20 კაპიკი (ზოგჯერ ნაკლები), არც საათი ლოდინი, არც ნერვების წეწვა, არც ფეხზე დგომა. სამუშაოდან დაღლილ-დაქანცული გამოსული 5-10 წუთში სახლში ხარ. ლიფტსაც კი მიასწრებ კაცი! დილას კიდევ (კიდევ ააშენოთ ღმერთმა!) — ნორმალურ დროზე ადგომა და დაუგვიანებლად მისვლა სამსახურში!

მაგრამ... მაგრამ... მაგრამ... მიება ამ საღამოს ერთმანეთს კითხვები, თანაც მაშინ, როცა უკვე „გამვლელ მანქანაში“ მძღოლის გვერდით მედიდურად მოკალათებული მივქროდი „აფრიკისაკენ“ და თან რედაქტორის დავალებაზე ვფიქრობდი.

თავიდანვე, ცოტა არ იყოს, ვყოყმანობდი, მაგრამ ბევრჯერ გამიგონია ჩემს მიმართ (და არა მარტო ჩემს მიმართ) ირონიულად ნათქვამი: „წერე და იკითხე, ბიძია, რამდენიც გინდაო!“ ჰოდა...

ღამის სამი საათისათვის ფელეტონი გამომცხვარ-შეკაზმული იყო. სათაურიც შესაბამისი გამოვუძებნე „ხალტურშრიკები ანუ უსინდისო ჯიბის გამსქელებლები“.

# „აფრიკისკენ“ მიმავალი...

ფელეტონის გამოქვეყნების მეორე დღეს, დილით, იმ ადგილას, რომ მივედი, სადაც ჩემი ფელეტონის გმირები თავიანთ „უაზებს“ აჩერებდნენ, ავტოინსპექციის მანქანა შემრჩა ხელთ...

სამსახურში ორმოცდახუთი წუთით დავიგვიანე! პირველი შემთხვევაა და მითითება მაკმარეს...

საღამოს, როგორც კი მეტროსთან მდგარი „უაზი“ დავინახე, იმ წუთშივე ვდურთე თავი შიგ, მაგრამ, კილომეტრიც არ გვქონდა გავლილი, ინსპექტორმა გაგვაჩერა... რა გზა იყო, ჩამოვედით.

— ყველაფერი იმ ფელეტონის ბრალია! — თქვა უცბად ვიღაცამ და გემოზე შეიგინა.

დამცხა.

— აბა, კაცო! — დაუკრეს კვერი.

ფელეტონის ავტორის დამუშავება მაშინაც გრძელდებოდა, როცა ავტობუსს ველოდით და მაშინაც, როცა ავტობუსში ტკიპებივით ვიყავით ერთმანეთს მიკრული.

— წაიკითხეთ? — მკითხა ნაცნობმა.

— როგორ არა! — ენის ბორძიკით ვთქვი ნირწამხდარმა.

— ერთი მაჩვენა მაგისი ავტორი, ძვალ-რბილს გავუერთიანებ!

— თვითონ ვაკეში ცხოვრობს ვიღაცაა და თბილისი ვაკე, ვერა და რუსთაველის პროსპექტი ჰგონია უბედურს! — შემოგვიერთდნენ ლაპარაკში.

— ერთი მე მაგისი...

— მაბეჟვინა გემოზე, მეტი არაფერი მინდა!

— აბა კაცო?!.

კიდევ კარგი ფელეტონი ფსევდონიმით გამოქვეყნდა, თორემ ერთს მაინც რომ დაეპირებინა იმის ნახევრის ასრულება, რასაც ლაპარაკობდნენ, სამუდამოდ უნდა გამოვთხოვებოდი თბილისს.

ბუმერანგი

## მინიატურები

**პაციენტი:** როგორ იქნება ჩემი საქმე?

**ექიმი:** ორ წამალს გამოგიწერთ ერთი მოგიხდებათ, მაგრამ ვერ იშოვით! მეორე, შესაძლოა, არ მოგიხდეთ, სამაგიეროდ ადვილად იშოვით!

●

— რა დღეშია თქვენი წელკავი?

— ისევ ისეა! კლინიკური და ამბულატორიული მკურნალობა ჩავიტარე! კურორტებზე ვიყავი! საავადმყოფოში ვიწექი! კერძო ექიმთანაც გახლდით! ახლა ერთ ექიმბაშთან მივდივარ, ძალიან აქებენ! მერე ისევ თავიდან დავიწყებ!

აპოლონ გასილაია

## ტყეში

(იგავი)

ჩხაოდა ყვავი, წერდა მავანი:
„მშობლიურ ტყეებს იგი უმღერის!..“
მშიერი ხროვის შთამომავალი —
მოძუნძულებდა ტყეში ძუ მგელი!..

ჩხაოდა ყვავი და ყვავის ჩხავილს
ერქვა სიმღერა, ყვავს — მომღერალი!
ჭოტის თვალს, როგორც წყვდიადის
ყვავილს,
შესციცინებდა მელა — მწერალი!..

ყმუოდა მგელი, კიოდა ჭოტი,
წაუკრინებდა ჟამიჟამ ტურა!..
სულგანაბული უსმენდა ლომი
ჭოტის საამო კოლორატურას!..

ასე ფიქრობდა ბრძენი მელია,
როცა ტრიბუნას ძალით ართმევდნენ:
„თუმცა ეს ღამე ერთობ გრძელია,
ბოლოს და ბოლოს, უნდა გათენდეს!“

შეშინებული ტოვებდა სცენას,
იცვლიდა სახელს, აზრებს და სოროს,
აშრიალებდა ტყეს ფოთოლცვენა
და სოლიდური სულელის სოლო!

გივი ალხაზიშვილი

114
4.III — 82

ნახ. ა. ოქროპირიძისა

უსიტყვოდ



ნახ. მ. აბაშიძისა

უსიტყვოდ

**ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ** ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ მეზობელი ქვეყნები შეშფოთებული არიან ვაშინგტონის გეგმებით,—შეიქმნას ჩრდილოეთ ამერიკის „საერთო ბაზარი“.

გაზეთებიდან

ნახ. ბ. ლომბიძისა

საერთო საქმისთვის თავდადებული

## გაბროვოული ცუმროგები

### მოატყუა!

**ᲒᲐᲑᲠᲝᲕᲝᲔᲚᲘ** ერთ იაფფასიან სასტუმროში გაჩერდა. ღამე ბაღლინჯოები დაესივნენ. იგი ადგა, აანთო შუქი, გაალო კარები, შემდეგ მაგრად მოიჯახუნა და დაწვა.

გვერდით მწოლი მეზობელი გაოცდა. გაბროვოელმა უთხრა:

— ბაღლინჯოები მოვატყუე! ეგონებათ, რომ წავედი!

### ძუნწი

**ᲒᲐᲑᲠᲝᲕᲝᲔᲚᲛᲐ** კარების შეკეთება დაიწყო და შვილი გაგზავნა მეზობელთან ხელეჩოს სათხოვნელად. ბავშვი ხელცარიელი დაბრუნდა: მეზობელმა დაუმალა ხელეჩო, არა მაქვსო, უთხრა.

— რა ძუნწია! — აღშფოთდა მამა, — ჩადი სარდაფში და ჩვენი ხელეჩო ამოიტანე!

### აბანოში

— რა ღირს აბაზანის ბილეთი?

— ორი ლევი.

— აი, ერთი ლევი და აბაზანა ნახევრად ამივსეთ!

### ოჯახური საუბარი

— პენჩევისთვის მკაცრი დიეტა დაუნიშნავთ!

— მოვიწვიოთ ვახშამზე!

### საკუთარი წარმოებისა

**ᲒᲐᲑᲠᲝᲕᲝᲔᲚᲘ** სტუმარს კარტოფილით უმასპინძლდება.

— მიირთვით, ნუ გრცხვენიათ, ჩემი მოყვანილია!

— კი მაგრამ, თქვენ ხომ ბოსტანი არა გაქვთ?

— სახაფლაოზე ადგილი ვიყიდე, ხოლო რადგან ჯერ არ მჭირდება, კარტოფილსა ვთესავ ხოლმე!

### სტიმული

**ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ** მწვრთნელი — მეკარეს: ბადეს გაუფრთხილდი, არავის შეაგლეჯინო, თორემ ხელფასიდან დაგიქვითავ!

### სკოლაში

**ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ** ბავშვებს უხსნის ლითონთა თვისებებს:

— ბავშვებო! აი, ახლა ამ ოქროს მონეტას ჩავაგდებ მჟავაში. როგორ ფიქრობთ, გაფუჭდება?

— არა! — მიუგეს ერთხმად.

— რატომ?

— ეგ რომ ფუჭდებოდეს, არაფრის გულისთვის შიგ არ ჩააგდებდით!

ბულგარულიდან თარგმნა **ᲯᲐᲛᲚᲔᲗ** სერგიელმა


ᲡᲐᲢᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲛᲝᲠᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲜᲘᲐᲜᲒᲘ“
№ 1 (1613) თებერვალი
გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
**ᲖᲐᲣᲠ ᲒᲝᲚᲫᲘᲕᲐᲫᲔ**

**ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ:**
**ᲭᲐᲑᲣᲐ ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘ,**
**ᲜᲝᲛᲐᲓᲘ ᲑᲐᲠᲗᲐᲘᲐ,**
**ᲑᲝᲠᲘᲡ ᲒᲣᲠᲒᲣᲚᲘᲐ,**
**ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ,**
**ᲠᲔᲕᲐᲖ ᲗᲕᲐᲠᲐᲫᲔ,**
**ᲯᲔᲛᲐᲚ ᲚᲝᲚᲣᲐ,**
**ᲜᲝᲓᲐᲠ ᲛᲐᲚᲐᲖᲝᲜᲘᲐ**
(მხატვარი-რედაქტორი),

**ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲡᲐᲛᲡᲝᲜᲘᲐ,**
**ᲑᲔᲭᲐᲜ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ**
(პასუხისმგებელი მდივანი),

**ᲒᲘᲒᲚᲐ ᲤᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,**
**ᲯᲐᲜᲡᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ,**
**ᲗᲐᲛᲐᲖ ᲬᲘᲕᲬᲘᲕᲐᲫᲔ,**
**ᲕᲐᲟᲐ ᲭᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
(მთავარი რედ. მოადგილე),

**ᲜᲐᲤᲘ ᲯᲣᲡᲝᲘᲗᲘ.**

●

ტექნიკური რედაქტორი
**ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲣᲬᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

●

გადაეცა ასაწყობად
6. 1. 82 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად
23. 2. 82 წ.
ქაღალდის ზომა 70×100
ფიზიკური ნაბეჭდი
ფურცელი 1
სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 1,7
საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობა
ლენინის ქ. №14,
შეკვეთა № 28, უე 06096
ტირაჟი 148.950.
ჟურნალი გამოდის
თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

●

**ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:**
380008, თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი, № 42.
**ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:** მთავარი
რედაქტორის — 99-55-54, მთ.
რედ. მოადგილის — 93-19-42,
პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38,
განყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივანი-მემანქანის — 99-76-69.

**Сатирико-юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.**

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137